- Current regulations make it even more difficult to prevent misconducts;
- A deep comprehension of the matter through the prism of concept of general prevention is needed in order to create new, more acceptable regulations.

The discussion offered in this paper has once again stressed on an ever existing problem: It is not necessary at all that a concept developed within certain field of law is used in a restricted way – only within the frame of that same field of law. It should be applied in process of comprehension of a problem that occurred within adjacent field of law if it is applicable considering its subject, problematics or/and methodological base.

NOTES:

1. Team of authors (editors: Nachkebia G., Todua N.). (2018). Criminal Law. General Part. Textbook(Third Edition). Tbilisi, “Meridiani” publishing house, p. 21. (In Georgian)
2. Tsereteli T. (2007). Problems of Criminal Law. I Vol. Tbilisi, “Meridiani”publishing house, pp. 22-25. (In Georgian)
3. Henley V. (2013). Neglect of Judicial Duties and its Consequences. Conference on the Independence and Profession of Judges, Tbilisi, pp. 29-39. (In Georgian)
4. The matter could be and should be comprehended through the prism of the concept of special prevention (Die spezialpräventive Lehre) as well. Although this goes beyond the subject of present paper and should be discussed in independent work. (In German)
5. Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Is the Purpose of the Punishment to Protect against Crime and is Criminal Law the Law of Prevention. Library for Criminal Jurisprudence and Legal Studies. (In German)
6. Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Introduction to Criminal Law and Criminal Procedural Law. 6th, new revised edition, C.F. Müller, p. 6. (In German)
7. Tskitishvili T. (2019). Punishment and Sentencing. Tbilisi, “Meridiani” Publishing house, p. 27-28. (In Georgian)
8. Roxin, Arzt, Tiedemann. The work cited, p. 6. (In German)
9. Turava M., 2011 Criminal Law. General Part. Concept of Crime. Tbilisi, “Meridiani” Publishing house, p.45. (In Georgian)
10. Tskitishvili T. The work cited, p. 31. (In Georgian)
11. Tsereteli T. The work cited, pp. 49-64. (In Georgian)
12. Ugrekhelidze M. (1978). The Significance of Level of Guilt for Individualization of Punishment. Soviet Law, №6, p. 46. (In Georgian)

კონფერენციის შრომები

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა – პრევენცია თუ წახალისება

პაპუნა გურული

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორი
ადვოკატი საერთო სპეციალობით

საკვანძო სიტყვები: დისციპლინური გადაცდომა, გენერალური პრევენცია, მართლმსაჯულება

შესავალი

უკვე დიდი ხანია გაკვირვებას აღარ იწვევს სამართალში სხვადასხვა დისციპლინებიდან ნასესხები დებულებების დამკვიდრება. მკვლევარებს თამამად შემოაქვთ იდეები ფსიქოლოგიიდან, ფსიქიატრიიდან, სოციოლოგიიდან თუ სხვა დისციპლინებიდან და ცდილობენ ამით გაამდიდრონ სამართალი. ამ ფონზე რამდენადმე პარადოქსულია, რომ სამართლის ერთი დარგის ფარგლებში სიღრმისეული გააზრების შედეგად ჩამოყალიბებული დებულება ფაქტობრივად იგნორირებულია და არ გამოიყენება სამართლის მომიჯნავე დარგში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა იგი მიესადაგებოდეს კიდევ მას საგნის, პრობლემემატიკის ან/და მეთოდოლოგიური საფუძვლის თვალსაზრისით.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში ტერმინი „პრევენცია,“ როგორც წესი, დანაშაულს უკავშირდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დანაშაული მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ყველაზე მძიმე ფორმაა და მისი პრევენციაც სამართლის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.¹ აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ პრევენციის საკითხების ყველაზე სიღრმისეულად გააზრება უპირატესად სწორედ სისხლის სამართალმა უზრუნველყო. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ პრევენცია მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დარღვევას სჭირდება. დისციპლინური, ადმინისტრაციული და ზოგჯერ სამოქალაქო სამართალდარღვევაც კი შესაძლოა ქმნიდეს მაღალი ხარისხის საზოგადოებრივ

1 ავტორთა კოლექტივი (რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ.). (2018). სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო). ზოგადი ნაწილი. მესამე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 21.

კონვენციის პრობები

საშიშროებას და, მაშასადამე, მათი პრევენციაც აუცილებელია.² ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომის ზიანს აყენებს ესა თუ ის ქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებს (მატერიალური მართლწინააღმდეგობა).

გამონაკლისს არ წარმოადგენს მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომაც. ეს ქმედება საფრთხეს უქმნის როგორც მხარეთა ინტერესებს, ისე მართლმსაჯულების განუხრელად განხორციელებას და საზოგადოებაში აჩენს უნდობლობას სასამართლოს გადანყვეტილებებისადმი.³ ასეთი დიდი მნიშვნელობის ფონზე, კითხვებს აჩენს ქართველი კანონმდებლის მიდგომა, რომელიც დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არის გამოყენებული. წინამდებარე მოხსენების მიზანია პასუხის გაცემა კითხვაზე – რამდენად არის ორიენტირებული საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობა მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის პრევენციაზე?

მეთოდოლოგიური საფუძველი

აუცილებლობა მოითხოვს საკითხი განხილულ იქნეს გენერალური პრევენციის შესახებ მოძღვრების (Die generalpräventive Lehre) ჭრილში, რადგან სწორედ მისი წყალობითაა შესაძლებელი ყველაზე კრიტიკული კითხვების დასმა. მართალია, ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის ფარგლებში ჩაისახა და უპირატესად სისხლის სამართლის მიზნებს ემსახურება, მაგრამ მასში განვითარებული დებულებები ადვილად შეიძლება მიესადაგოს მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასაც.⁴

გენერალური პრევენციის შესახებ მოძღვრება ფოიერბახს ეკუთვნის. იგი თანმიმდევრულად ასაბუთებს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების მთავარი მიზანი არა ადამიანის დასჯა, არამედ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება უნდა იყოს.⁵ გენერალური პრევენცია ორ მიმართულებას გულისხმობს. პირველი მიმართულება ორიენტირებულია საზოგადოების წევრების მიმართ სასჯელის მუქარაზე, მათში ზუსტი შეხედულების ჩამოყალიბებაზე მოსალოდნელ იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებით. ეს აუცილებელია, რათა ადამიანებმა, რომლებიც ფიქრობენ დანაშაულის ჩადენაზე, თუმცა საბოლოო გადანყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, მოსალოდნელი სასჯელის შიშით უარი თქვან კრიმინალური სურვილე-

2 წერეთელი თ. (2007). სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 22- 25.

3 Henley V. (2013). Neglect of Judicial Duties and its Consequences. Conference on the Independence and Profession of Judges, Tbilisi, pp. 29-39.

4 საკითხის განხილვა აგრეთვე შესაძლებელი და საჭიროა სპეციალური პრევენციის შესახებ მოძღვრების (Die spezialpräventive Lehre) ჭრილშიც, თუმცა აღნიშნული ცდება წინამდებარე მოხსენების ფარგლებს და ცალკე ნაშრომის საგანია.

5 Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Ist Sicherung vor dem Verbrechen Zweck der Strafe und ist Strafrecht Präventionsrecht. Bibliothek für die peinliche Rechtswissenschaft und Gesetzkunde.

კონფერენციის შრომები

ბის სისრულეში მოყვანაზე (ნეგატიური გენერალური პრევენცია).⁶ ამ თეორიის მიხედვით, ყველა დარღვევას აქვს წარმოშობის საკუთარი ფსიქოლოგიური მიზეზი, რომელიც ადამიანს ქმედების განხორციელების სტიმულს აძლევს. აღნიშნული სტიმული შეიძლება აღმოიფხვრას, თუ ყველას ეცოდინება, რომ მისი ქმედება გარდაუვლად მოუვლენს სასჯელს.⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ თეორიას „ფსიქოლოგიური იძულების თეორიასაც“ უწოდებენ. იგი თავიდანვე ორიენტირებულია სამართლებრივი მშვიდობის უზრუნველყოფაზე, რაც არის კიდევ სამართლის მთავარი ამოცანა. ეს სწავლება ეყრდნობა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასჯელის მიზანი საკანონმდებლო მუქარის ნამდვილობის დასაბუთებაა, რის გარეშეც მუქარა უმოქმედო იქნებოდა. იგი ასევე ხსნის, თუ რატომ არაა მართებული სასჯელის გამოყენებაზე უბრალოდ უარის თქმა, მაშინაც კი, როცა არ არსებობს განმეორების საფრთხე. როცა სერიოზული დანაშაული დაუსჯელი რჩება, ეს სხვებში დაუსჯელობის შეგრძნებას აღვივებს. სწორედ ასეთი ვითარების თავიდან ასაცილებლად არის საჭირო სასჯელის გამოყენება.

მეორე მიმართულება მიზნად ისახავს, იურიდიული აკრალვების დანერგვის მეშვეობით, საზოგადოების წევრთა მართლშეგნების ჩამოყალიბებას, რათა მათ თავიდანვე არ განიზრახონ დანაშაულის ჩადენა (პოზიტიური გენერალური პრევენცია).⁸ იგი ემსახურება ადამიანებში სამართალმორჩილების უნარის გამომუშავებას.⁹ ეს უკანასკნელი უნდა მიღწეულ იქნეს მართლწესრიგის ძალმოსილებისადმი ნდობის შენარჩუნებისა და გაძლიერების მეშვეობით. სასჯელის გამოყენებას უნდა გააჩნდეს დასწავლის ეფექტი – ადამიანების მიერ სამართლისადმი ერთგულების დასწავლა; ასევე ნდობის ეფექტი, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც მოქალაქეები ხედავენ, რომ სამართალი არა მხოლოდ ქალღმბზე წერია, არამედ რეალურად ხორციელდება კიდევ; სამართლისადმი ერთგულების ჩამოყალიბებას ასევე ახასიათებს დამშვიდების ეფექტი, რომელიც განპირობებულია იმით, რომ მართლწესრიგის დაცვა საერთო სიმშვიდეს იწვევს.¹⁰

დღევანდელი კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 7544-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სადისციპლინო კოლეჯია იღებს დისციპ-“

6 Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Einfhrung in das Strafrecht und Strafprozessrecht. 6., neue bearbeite Auflage, C.F. Müller, S. 6.
 7 ცქიტვილი თ. (2019). სასჯელი და მისი შეფარდება. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 27-28.
 8 Roxin, Arzt, Tiedemann. დასახელებული ნაშრომი, S. 6.
 9 ტურავა ტ. (2011). სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძვრება. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 45.
 10 ცქიტვილი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

კონფერენციის შრომები

ლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის, მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის ან ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო ან სხვა მოტივით (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით) სადისციპლინო კოლეგია მიზანშეუწონლად თვლის მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას და საკმარისად მიაჩნია მისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.“

მაშ ასე, საკანონმდებლო ნორმის თანახმად, მოსამართლემ შეიძლება ჩაიდინოს დისციპლინური გადაცდომა და მას მაინც არ დაეკისროს პასუხისმგებლობა შემდეგი საფუძვლებით:

- დარღვევის მცირე მნიშვნელობა;
- ბრალის უმნიშვნელო ხარისხი;
- სხვა მოტივი (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის გათვალისწინებით).

ეს მუხლი თავისი შინაარსით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ნორმაა. თავისთავად, კანონში მისი არსებობა მისასაღმებელია, რადგან რეგულირდება არა მხოლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების, არამედ მისი გამორიცხვის საკითხებიც. თუმცა, საჭიროა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი თითოეული პირობის ცალ-ცალკე განხილვა:

პირველი გარემოება – დარღვევის მცირე მნიშვნელობა – პრინციპულ წინააღმდეგობას არ იწვევს. ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების იდეა ემსახურება სამართალდარღვევათა დიფერენცირებას, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს თანაზომიერების პრინციპის დაცვას. აღნიშნული ერთიორად აქტუალურია, როდესაც ქმედება ფორმალურად არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ მატერიალურად უმნიშვნელო ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ასეთი დარღვევა თავის თავში არ ატარებს სოციალური საშიშროების საკმარისად მაღალ ხარისხს, რათა აუცილებელი იყოს პასუხისმგებლობის დაკისრება.¹¹

მეორე გარემოება – ბრალის უმნიშვნელო ხარისხი – უკვე იწვევს გარკვეულ წინააღმდეგობას. კერძოდ, ბრალის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჰქონდა ადამიანს სხვაგვარად ქცევის საშუალება, რამდენად დიდი იყო მისი თავისუფლების ხარისხი. რაც უფრო ნაკლები თავისუფლების ხარისხი ჰქონდა პიროვნებას ქმედების ჩადენის დროისათვის, მით უფრო ნაკლები იქნება გასაკიცხაობის ხარისხიც, რომელსაც

11 იხ.: წერეთელი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ 49-64.

კონფერენციის შრომები

იგი უნდა დაექვემდებაროს.¹² თუმცა, ამის საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან სრულიად გათავისუფლება ძნელად წარმოსადგენია. პასუხისმგებლობა მთლიანად გამოირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულად გამოირიცხა ბრალი, ანუ თუ დადგინდა, რომ ადამიანს საერთოდ არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა. შესაბამისად, ბრალის ხარისხის სიმცირე შესაძლოა გამოდგეს პასუხისმგებლობის მხოლოდ შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ არანაირად გამომრიცხველ გარემოებად.

მესამე გარემოება – სხვა მოტივი (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით) – ყველაზე მეტ წინააღმდეგობას იწვევს. იგი არსებითად შეუსაბამოა გენერალური პრევენციის სწავლებასთან. ფორმულირების მეტად ბუნდოვანება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს პრაქტიკულად შეუზღუდავ უფლებამოსილებას აძლევს – პასუხისმგებლობა არ დააკისროს მისთვის სასურველ მოსამართლეს. თავისთავად, „საკითხის დელიკატურობის“ გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება გაცემის მეტს ვერაფერს იწვევს. ძნელად წარმოსადგენია, თუ რომელი იურიდიული კატეგორიებით შეიძლება დასაბუთდეს ის, რომ მოსამართლემ გადაცდომა კი ჩაიდინა, მაგრამ საკითხი ზედმეტად დელიკატური აღმოჩნდა და ამიტომ მას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს.

რაც შეეხება ფორმულირებას – „სხვა მიზეზი მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით“ – იგი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია გადაწყვეტილება მიკერძოებული იყოს. ასეთი მიდგომის დასაბუთება მიუღებელი იქნება იმით, რომ თითქოს დამრღვევის პიროვნებაზე მითითება ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვის მიზნითაა გაკეთებული. დამრღვევის პიროვნება, როგორც ფაქტორი, ისედაც გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალის ეტაპზე. შესაბამისად, ეს საკითხი ისედაც გათვალისწინებულია 7544-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე გარემოებაში, რომელიც ბრალს ეხება. რაც მთავარია, პიროვნული ფაქტორი ამ გაგებით შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ შემამსუბუქებელი და არანაირად გამომრიცხავი გარემოება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ 7544-ე მუხლის პირველი პუნქტის ასეთი ფორმულირება ემსახურება მიზანს – მინიმუმამდე დაიყვანოს სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი და მაქსიმალურად გაუხსნას მას ხელი სასურველი მოსამართლისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების თვალსაზრისით. გარდა თვითნებური გადაწყვეტილების მიღებისა და, აქედან გამომდინარე, კორუფციული საფრთხისა, დარტყმის ქვეშ დგება თავად გენერალური პრევენციის მთავარი იდეა – სასჯელის მუქარა. კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, სადისციპლინო კომისიას უფლება აქვს არ დააკისროს მას პასუხისმგებლობა, თანაც გააკეთოს ეს რეალური დასა-

12 იხ.: უგრეხელიძე მ. (1978). ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. საბჭოთა სამართალი, №6, გვ. 46.

კონფერენციის შრომები

ბუთების გარეშე. ამის ფონზე მოსამართლეს უჩნდება სრული საფუძველი ივარაუდოს, რომ მის მიერ გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მას ექნება თავის დაძვრენის რეალური საშუალება. უარყოფითი იურიდიული შედეგების გარდუვალობის შესახებ ზუსტი წარმოდგენის ჩამოყალიბების ნაცვლად, 7544-ე მუხლის პირველი პუნქტი მოსამართლეს თავის დაძვრენის შესაძლებლობის შესახებ წარმოდგენას უყალიბებს. არ ხორციელდება „ფსიქოლოგიური იძულება“, არ ხდება ფსიქოლოგიური სტიმულის აღმოფხვრა. პირიქით, მოსამართლეს დარღვევის ჩადენის დამატებითი ბიძგი ეძლევა. საბოლოო ჯამში კი, ნაცვლად დისციპლინური გადაცდომის პრევენციისა, ხდება მისი წახალისება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია გაკეთდეს დასკვნა:

- საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობა ნაკლებად არის ორიენტირებული მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის გენერალურ პრევენციაზე;
- არსებული რეგულაციები ართულებს გადაცდომათა თავიდან აცილებას;
- საჭიროა საკითხის სიღრმისეული გააზრება გენერალური პრევენციის ჭრილში და ამის საფუძველზე ახალი, მეტად მისაღები რეგულაციების შემუშავება.

წინამდებარე მოხსენებაში განვითარებულმა მსჯელობამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მეტად საჭირობოროტო საკითხს: სულაც არ არის სავალდებულო, რომ სამართლის რომელიმე დარგში განვითარებული დებულება გამოიყენებოდეს შეზღუდულად, მხოლოდ მშობლიური დარგის ფარგლებში. მისი მოხმობა სასურველია სხვა, მომიჯნავე დარგის პრობლემის გააზრებისასაც, თუ იგი მიესადაგება მას საგნის, პრობლემემატიკის ან/და მეთოდოლოგიური საფუძვლის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი (რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ.). (2018). სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო). მოგადი ნაწილი. მესამე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 21.
2. წერეთელი თ. (2007). სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 22- 25.
3. Henley V. (2013). Neglect of Judicial Duties and its Consequences. Conference on the Independence and Profession of Judges, Tbilisi, pp. 29-39.

კონფერენციის შრომები

4. საკითხის განხილვა აგრეთვე შესაძლებელი და საჭიროა სპეციალური პრევენციის შესახებ მოძღვრების (Die spezialpräventive Lehre) ჭრილშიც, თუმცა აღნიშნული ცდება წინამდებარე მოხსენების ფარგლებს და ცალკე ნაშრომის საგანია.
5. Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Ist Sicherung vor dem Verbrechen Zweck der Strafe und ist Strafrecht Präventionsrecht. Bibliothek für die peinliche Rechtswissenschaft und Gesetzkunde.
6. Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Einführung in das Strafrecht und Strafprozessrecht. 6., neue bearbeitete Auflage, C.F. Müller, S.
7. ცქიტიშვილი თ. (2019). სასჯელი და მისი შეფარდება. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 27-28.
8. Roxin, Arzt, Tiedemann. დასახელებული ნაშრომი, S. 6.
9. ტურავა ტ. (2011). სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 45.
10. ცქიტიშვილი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.
11. წერეთელი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ 49-64.
12. უგრეხელიძე მ. (1978). ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. საბჭოთა სამართალი, №6, გვ. 46.

კონფერენციის შრომები

THE IMPORTANCE OF FULL CONSTITUTIONAL COMPLAINT AS THE EFFECTIVE MECHANISM FOR RESTORING HUMAN RIGHTS IN CONSTITUTIONAL JUSTICE

Tamar Avaliani

Senior legal scientist of the Scientific Research Institute of Law in European University

KEYWORDS: Complaint, Control, Justice

PREFACE

The limitation of government by human rights is one of the the important characteristics of democracy and rule of law in the state. The limitation of government by human rights ensures the human rights protection and guarantees them. One of the important mechanism for protecting human rights is constitutional control. Accordingly, proper protection of human rights and constitutional order is unreachable goal without effective mechanisms of constitutional control.

THE PECULIARITIES OF FULL CONSTITUTIONAL COMPLAINT

Full constitutional complaint should be considered one of the effective mechanisms for restoring violated rights. It is possible by this mechanism to constitutionally control three branches of the government and its legal acts and decisions. Human rights are violated not only by law, but also by court decisions and the actions of executive branches. Relevantly, on the national level there should exist effective mechanism for restoring violated rights and possibility that the constitutional court is able to discuss the accordance of the acts of three branches with the human rights and liberties guaranteed by the constitution. Constitutional Court should be given the possibility to discuss the constitutionality of general courts' decisions and establish violation of human rights in case it its revealed. An application at the Constitutional Court is

კონფერენციის შრომები

Tamar Avaliani

based on the principle of subsidiarity, according to which the Court involves in the legal dispute additionally, when the legal protection mechanisms are exhausted.

The variety of models of full constitutional complaint exist in many European countries (Germany, Czech Republic, Portugal and etc.).

THE GAPS OF GEORGIAN MODEL OF THE CONSTITUTIONAL COMPLAINT

The form of constitutional control functioning in Georgia is a defective mechanism for restoring human rights. Georgian model does not give an individual the possibility to apply to the Constitutional Court on the constitutionality (in terms of human rights) of decisions taken by general courts and executive branches. Constitutional Court of Georgia cannot control the decisions of general courts in terms of human rights, also how general courts interpret human rights within the specified case. We should agree with the opinion that "in the existence of "real" constitutional control, constitutional courts try its best not to violate the principle of "iura novit curia, and from the very beginning develop individual schemes of constitutional control based on basic human rights".

THE ADVANTAGES OF IMPLEMENTING THE FULL CONSTITUTIONAL COMPLAINT MECHANISM IN GEORGIA

The perspectives and basis of implementing "real" constitutional control was strengthened by the judgment (Apostol v. Georgia) of European Court of Human Rights. In the mentioned judgment, European Court of Human Rights discussed in details about the interrelationship between constitutional justice and full constitutional complaint mechanism. According to this judgment, "real" constitutional complaints create the strong instrument for the realization of basic human rights and liberties by the Section 2 of the Georgian constitution. One of the advantages of full constitutional complaint is to promote the cooperation and the exchange of best practices between general courts and Constitutional Court. The introduction of full constitutional complaint will increase sensitivity towards human rights during case discussions and ensure the increase of interests of judges in constitutional justice. In addition, this model will promote the development of "law of judges" and substantially improves the quality of their work. Also, this model will promote the decrease of the complaints from Georgia to the European Court of Human Rights.

While implementing the full constitutional complaint model, the scope of the

1 Erkvania T., Normative constitutional complaint as the improper form of concrete constitutional control in Georgia. 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-ro-gorts-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi>.
2 (Apostol v. Georgia), 2016, par. 42.
3 Ibid, par. 31.

კონფერენციის შრომები

constitutional control, permissiveness, the issue of compensation and etc. should be considered as well.

CONCLUSION

Full constitutional complaint is the effective mechanism in terms of restoring violated rights, that would give the national legal system an opportunity to protect human rights more effectively and to check the standard of protecting human rights in the general court system. The model of full constitutional complaint will increase the quality and effectiveness of the work of general courts.

NOTES:

1. Erkvania T., Normative constitutional complaint as the improper form of concrete constitutional control in Georgia. 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogorsts-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofi-li-forma-sakartveloshi> (in Georgian)
2. (Apostol v. Georgia), 2016, par. 42. (In Georgian)
3. Ibid, par. 31.

BIBLIOGRAPHY:

1. Erkvania T., Normative constitutional complaint as the improper form of concrete constitutional control in Georgia. 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogorsts-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofi-li-forma-sakartveloshi> (in Georgian)
2. (Apostol v. Georgia), 2016, par. 42. (in Georgian)

კონფერენციის შრომები

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის, როგორც დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმის მნიშვნელობა საკონსტიტუციო სასამართლოს მართლმსაჯულებაში

თამარ ავალიანი

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

საკვანძო სიტყვები: სარჩელი, კონტროლი, მართლმსაჯულება

შესავალი

ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვა ადამიანის უფლებების დაცვასა და გარანტირებას უზრუნველყოფს. ადამიანის უფლებების დაცვის გზაზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს საკონსტიტუციო კონტროლი წარმოადგენს. შესაბამისად, ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარება მიუღწეველი ამოცანაა საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტური მექანიზმების გარეშე.

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის თავისებურებანი

დარღვეული უფლების აღდგენის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმად „რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი უნდა განვიხილოთ. მისი მეშვეობით, შესაძლებელია ხელისუფლების სამივე შტოს და მათ მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების საკონსტიტუციო კონტროლი. კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები არა მარტო კანონით,

კონფერენციის შრომები

არამედ სასამართლო გადაწყვეტილებებითა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ქმედებებითაც შეიძლება დაირღვეს. შესაბამისად, ეროვნულ დონეზე უნდა არსებობდეს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმი და იმის შესაძლებლობა რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს, რამდენად შეესაბამება ხელისუფლების სამივე შტოს აქტები საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განიხილოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხი და დაადგინოს უფლების დარღვევა ასეთის არსებობის შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოში ხელისუფლების სამივე შტოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება სუბსიდიარობის პრინციპს ეფუძნება, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით ჩაერთვება კონკრეტულ დავაში, მას შემდეგ რაც ამონურული იქნება სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. „რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის მოდელი გარკვეული ვარიაციებით წარმატებით ფუნქციონირების ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში (გერმანია, ჩეხეთი, პორტუგალია და სხვა).

საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის ხარვეზები

საქართველოში მოქმედი საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, დარღვეული უფლების აღდგენის გზაზე ხარვეზიან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი ფიზიკურ პირს არ აძლევს შესაძლებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს საჩივარი სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ადამიანის უფლებებთან მიმართებით კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო კონტროლის მთავარ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებებთან მიმართებით ვერ აკონტროლებს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე, იმას თუ როგორ ახდენენ სასამართლოები კონკრეტული დავის ფარგლებში ადამიანის უფლებების ინტერპრეტირებას. გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის არსებობისას, საკონსტიტუციო სასამართლოები მაქსიმალურად ცდილობენ, არ შელახონ პრინციპი – *iura novit curia*, და თავადვე განავითარონ საკონსტიტუციო კონტროლის ინდივიდუალური სქემები ძირითად უფლებებზე დაყრდნობით”¹.

1 ერქვანია თ., ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogor-ts-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi>

კონფერენციის შრომები

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის დანერგვის უპირატესობები საქართველოში

„რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის საქართველოში დანერგვის პერსპექტივები და საფუძველი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაამყარა მსჯელობისას საქმეზე – „აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ“². გადანყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ დეტალურად იმსჯელა საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისა და „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. სასამართლოს განმარტებით „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელები ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განხორციელების ძლიერ ინსტრუმენტს³. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი ხელს შეუწყობს კოოპერაციასა და და საუკეთესო პრაქტიკების გაცვლას საერთო სასამართლებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შემოღება გაზრდის ადამიანის უფლებების მიმართ მგრძობელობას დავების განხილვისას და ხელს შეუწყობს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დაინტერესებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულებით. ამასთანავე, მითითებული მოდელი ხელს შეუწყობს სამოსამართლო სამართლოს განვითარებასა და არსებითად გააუმჯობესებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მუშაობის ხარისხს. სარჩელის უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ ეს მოდელი ხელს შეუწყობს საქართველოდან საჩივრების გაგზავნის შემცირებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის დანერგვისას, აუცილებელია განისაზღვროს რა მოცულობით და რა ფარგლებში მოხდება საერთო სასამართლოების კონტროლი, სარჩელის დასაშვებობის საფუძვლები, კომპენსაციებთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

დასკვნა

„რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლი ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს დარღვეული უფლების აღდგენის კუთხით, რაც მისცემს შესაძლებლობას ეროვნულ სამართლებრივ სისტემას აღადგინოს დარღვეული უფლებები და ეროვნულ დონეზე მოახდინოს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის შემონქმება საერთო სასამართლოების სისტემაში. ეს კი თავის მხრივ აამაღლებს საერთო სასამართლოების მუშაობის ხარისხს და ეფექტიანობას.

2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე N40765/02 აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia), 2006 წლის 28 ნოემბერი, პარაგრაფი 42.
 3 იქვე, პარაგრაფი. 31.

THE IMPORTANCE AND GUARANTEES OF THE JUDICIARY INDEPENDENCE

Tamar Laliashvili

Doctor of Law, Professor of The European University

KEYWORDS: Judiciary, Independence of judges, Conference of Judges

INSTITUTIONAL INDEPENDENCE OF THE JUDICIARY

Judicial independence implies the independence of judges, both individually and institutionally. The independence of a judge should be seen as, on the one hand, a system of orientation for the judge himself, a system of his professional beliefs, and, on the other hand, as a set of institutional and operational measures designed to ensure that independence.

Institutional independence means the separation of the judiciary from the executive and legislative branches of the institution as a set of institutional and operational measures designed to ensure that independence, including individual independence. It defines the relationship between the judiciary and those branches of government independence, as well as their perception of society² as such.

It is carried out with the self-government and incompatibility of the court. Self-government is exercised by the Conference of Judges of Georgia, the main function of which is to strengthen the independence of the judiciary, public confidence and trust in the courts, and the authority of judges.

INDIVIDUAL INDEPENDENCE OF THE JUDGE

What is the individual independence? The independence of judges is not a purpose in itself. It is a direct guarantee of the citizen that the judge's decision will be neutral, in accordance with the law and the Constitution.

1 Bangalore Principles of Judicial Conduct and its Comments, Tbilisi 2015 p.66.

2 Bangalore Principles of Judicial Conduct and its Comments, Tbilisi 2015, p.67.

3 Bettermann, From the sense and limits of judicial independence, in Freiherr vom Stein-Gesellschaft e. V (Hrsg), The independence of the judge, A Cappenberg conversation, 1969, p. 45 ff.

კონფერენციის შრომები

According to the Constitution, the judiciary is not only the exercise of justice, but also the judiciary control. According to the Constitution, the judiciary is exercised by the courts, which means that the exercise of this power is fully entrusted to judges.

Therefore, the independence of the judge is considered, the judge's orientation system itself, a kind of system of his professional belief. According to the Constitution, the judiciary is exercised by the courts, which means that the exercise of this power is entirely entrusted to judges. The following articles of the Constitution already set out the basic principles by which a judge should be guided in the performance of his or her activities.

Therefore, the independence of the judge is considered, the judge's orientation system itself, a kind of system of his professional beliefs

It is the individual independence that specifically concerns the judge directly. It consists of subjective and personal (persönliche) independence and is therefore subjective and personal in nature.

- A) Subject matter;
- B) Personal;
- C) Internal independence.

SUBJECTIVE INDEPENDENCE

The guarantee of independence is enjoyed by all persons exercising judicial power in accordance with the Constitution and the law (judges, jury). The source of threat to the independence of judges can be: state authorities, parties or public groups.

INDEPENDENCE FROM THE EXECUTIVE BRANCH

Ensuring the independence of judges is an essential element of the independence of the judiciary from the executive branch. It is inadmissible for the executive to give any directives to the court, to issue any act, which will interfere in the activities of the court. Article 63 of the Constitution explicitly states that all acts restricting the independence of a judge are void. Judges may not be depend on the instructions of the executive branch. The executive branch has no right to issue any act or give separate instructions that will affect the activities of the court.

Pursuant to Article 8 of the Law on Common Courts, state and local self-government bodies, institutions and officials are prohibited from violating the independence of the judiciary, influencing a judge or interfering in his/her activities while making a decision⁴.

4 Assistant conference, public law, Regensburg 2018, Nomos, Jann Ferlemann, Temporarily independent? Temporary judge between independence and flexibility. P. 50ff.

*კონფერენციის შრომები***INDEPENDENCE FROM THE LEGISLATURE**

The court's obedience to the law and the constitution is given directly in the first paragraph of Article 63 of the Constitution.

But obedience to the law does not mean obedience to the letters of the norm or coercion to obey the literal meaning of the norm, but rather, the judge has the right to interpret the norm according to the system of law, its essence and purposes. The legislator has no right to interfere in the activities of the court during the consideration of specific cases in the court and to have any influence on it. Interference measures include both decisions of Parliament and individual laws.

INDEPENDENCE OF JUDGES FROM THE JUDICIARY ITSELF

The substantive independence of judges means independence not only from the executive and the legislature, but also from the judiciary.

The judge acts independently of other judges. The task of hearing and deciding a case from a judge who remains face to face with his or her conscience. Requires some autonomy. Thus, the independence of a judge requires not only the independence of the judiciary as an institution from other branches of government, but it also requires the independence of judges from each other. In other words, the independence of a judge is conditioned not only by the absence of unlawful outside influence, but also by the absence of the unlawful influence that may result from the actions or position of other judges. Although a judge sometimes finds it helpful to "get ideas" to colleagues in a hypothetical case, each judge is personally responsible for the decision, including the judges on the appellate panels.

CERTAIN CASES ESTABLISHED BY THE CODE OF PROCEDURE FOR RESTRICTION OF INDEPENDENT DECISION-MAKING BY A JUDGE

In cases defined by the Code of Procedure, the judge is deprived of the opportunity to make an independent decision on a number of issues. It obeys these restrictions established by law. The judge cannot make a decision independently, as this issue has already been regulated and resolved by the Code of Procedure. This does not violate the principle of the independence of judges, as the restriction on the free decision of a judge is set by the Code of Procedure itself. For example, the court has no right to go beyond the scope of the accusation in terms of aggravation, or to establish new factual circumstances radically different from the factual circumstances established by the parties, and after the judgment enters into force,

5 Michael Reinhard, *Konsistente Jurisdiktion*, 1997, S. 198.

კონფერენციის შრომები

Tamar Laliashvili

the court cannot change the verdict. The court has no right to assess the silence of the accused against him or to use only the confession of the accused as a basis for the verdict.

PARTY INDEPENDENCE

The judges are not allowed to be a member of any political part. It is a constitutional principle. It is given in paragraph 4 of Article 63 of the Constitution of Georgia, according to which a judge may not be a member of a political party, participate in political activities.

The judge should make a decision in accordance with the Constitution and the law and not in the purpose and interests of any political party. The law requires the complete political neutralization of a judge and prohibits activities in any political party⁶.

JUDICIAL INDEPENDENCE FROM THE PUBLIC

Court decision can and should be criticized. Criticism of the press during the trial is permissible. But at the same time, the independence of the judiciary must be protected by law from the influence of both the press and individuals, interested organizations, and part of the public.

The substantive Criminal Code ensures the protection of the judiciary from criminal activity. Forcing a judge to make a decision that is desirable for someone is punishable under criminal law (Article 365 of the Criminal Code, threats or violence in connection with the conduct of an trial or investigation), and contempt of court is punished accordingly.

PERSONAL INDEPENDENCE OF JUDGES

Paragraph 5 of Article 63 of the Constitution of Georgia (Part 2 of Article 7 of the Organic Law on Common Courts) ensures the personal independence of a judge appointed in accordance with the law. The removal of a judge from the hearing, his/her dismissal or transfer to another position, or his/her retirement shall be allowed only if there are preconditions provided by law.

The personal independence of a judge includes first of all the following elements:

1. Inadmissibility of removal from the trial of a judge;
2. Inadmissibility of his early dismissal from office, early termination of his authority;

6 Michael Reinhard, *Konsistente Jurisdiktion*, 1997, S. 198.

კონფერენციის მრთმედი

3. Inadmissibility of transfer to another position;
4. Retirement before the expiration of his/her judicial activity, except in cases provided by law.

This is the principle of immovability. The principle of immovability is a guarantee of both personal and substantive independence of judges. Judges who have been appointed in accordance with the law may not be dismissed, removed from office, transferred to another position, or retired before the expiration of their term as a judge. It is inadmissible to apply measures to judges by which judges practically retain their positions but are in fact unable to carry out judicial activities,

For example, when the law on the distribution of court cases in common courts and the imposition of powers on other judges is violated. If the rule of distribution of cases is violated and the particular judge fails to get the particular case, that he was subject to the judge under the law, not only the principle of a lawful judge is violated, but also the personal independence of the judge, as he is practically excluded from the case.

The appointment of a judge to another court is allowed only with his/her consent (Article 44 1 of the Common Courts Law). The law provides for the dismissal of judges in the event of the liquidation of the court. It is true that the dismissal of judges on the basis of court liquidation is written in and restricts the personal independence of judges, but it does not violate the personal independence of judges, since according to the law the court is liquidated by the judiciary and not the executive, it does not violate the personal independence of judges.

The grounds for dismissal against the will of a judge are given in the Organic Law on Common Courts (Articles 44 and 45 of the Organic Law on Common Courts), as well as in the Law on Disciplinary Liability and Disciplinary Proceedings of Judges of Common Courts.

Judges must be guaranteed personal independence. Judges may be removed from office or suspended from office only in cases provided for by law, on lawful grounds and in accordance with the procedure laid down by law.

INTERNAL INDEPENDENCE OF JUDGES

Any judge must make a decision based on internal independence and personal responsibility. The internal independence of a judge requires the internal freedom of a judge. He must make a decision only in accordance with the Constitution and the law and he is not liable to any third party.

Internal independence is not guaranteed by law or the constitution, but rather it is a task facing him personally to be free from influence. The judge is not fighting for internal independence, but he must own it. The judge must make his or her own decisions, both without free of internally and externally impact.

Such influences may arise from political parties, especially ruling parties, which are also legally involved in the appointment of judges to some extent (for example,

კონფერენციის შრომები

Laliashvili
Tamar

the rule of appointment of Supreme Court judges). Also due to the nature of media statements, comments, TV shows and can exert some pressure, this pressure can be intensified if politicians support the opinion spread by the media. There is no legal leverage against such influence, especially since the function of the media is to criticize court decisions. The internal independence of judges means independence from third parties. The judge must make a decision freely, without the influence of others, in accordance with the law.

GUARANTEES OF INDEPENDENCE OF THE COURT AND THE JUDGE

One of the most important guarantees for the independence of a judge is his/her unlimited appointment, which is envisaged by the Constitution of Georgia.

The Organic Law on Common Courts strictly regulates the rule of communication with judges of common courts, which ensures the protection of the judge's independence from outside interference.

The irreplaceability of a judge is guaranteed by organic law. Reorganization or liquidation of the court may not be a ground for dismissal of a judge appointed for life.

It should also be noted that since the Rose Revolution till today, the common court system came under political control. The reorganization and liquidation of the courts was the main tool that enabled the then government to remove undesirable judges from the system and to establish the judiciary in accordance with the subjective political interests. (It is the court with subjective political interests that continues to function today unfortunately).

An important guarantee of the independence of the judiciary is the immunity of judges. The judge is inviolable. It is inadmissible to prosecute, detain or arrest the judge, to search his residence or workplace, car or personal, without informing the High Council of Justice or in the case of a judge of the Constitutional Court - without the consent of the Constitutional Court. The exception is the case of witnessing a crime, which must be reported immediately to the High Council of Justice or the Constitutional Court, respectively. If, accordingly, the High Council of Justice or the Constitutional Court does not give its consent, the judge deprived of liberty shall be dismissed immediately.

SUMMARY

The key to fostering and establishing the 'rule of law' is to ensure that the judiciary is not only independent but appears to be independent, in order to gain the

კონფიდენციალის შრომები

confidence of the public. The greatest danger to independence comes from the interference of perceived or otherwise-government institutions or political parties.

The relationship between the three branches of power should be built on mutual respect and recognition of the respective roles of the other two of them. This is necessary because the judiciary plays an important role in relation to the other two branches of the state. The judiciary must ensure that the government and administrative bodies are accountable for their actions; with regard to the legislature, the judiciary must ensure the proper application of adopted and enacted laws, as well as their compliance with the national constitution and, if necessary, regional and international treaties that are part of domestic law.

For the free, unrestricted exercise of their functions and the exercise of independent judicial decision-making powers, judicial authorities must exclude unlawful relations with other branches of state, as well as their influence. Thus, independence is a guarantee of impartiality and objectivity.

The relation of these two aspects of independence can be interpreted as follows: a judge may be independent in his or her views and reasoning, but if the court in which he or she hears cases is not independent of other branches of government in matters relevant to his or her proper functioning, the judge cannot be considered independent.

7 Kelly, W. F. B., 2002, An Independent Judiciary.

NOTES:

1. Bangalore Principles of Judicial Conduct and its Comments, Tbilisi 2015 p.66. (In Georgian)
2. Bangalore Principles of Judicial Conduct and its Comments, Tbilisi 2015, p.67. (In Georgian)
3. Bettermann, From the sense and limits of judicial independence, in Freiherr vom Stein-Gesellschaft e. V (Hrsg), The independence of the judge, A Cappenberg conversation, 1969, p. 45 ff. (In German)
4. Assistant conference, public law, Regensburg 2018, Nomos, Jann Ferlemann, Temporarily independent? Temporary judge between independence and flexibility. P. 50ff. (In German)
5. Michael Reinhard, Konsistente Jurisdiktion, 1997, S. 198. (In German)
6. Michael Reinhard, Konsistente Jurisdiktion, 1997, S. 198. (In German)
7. Kelly, W. F. B., 2002, an Independent Judiciary. (In English)

კონფერენციის შრომები

სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მისი უზრუნველყოფა

თამარ ლალიაშვილი

სამანათლის დოქონი, ევროპის უნივერსიტეტის პაფესონი

საკვანძო სიტყვები: სარჩელი, კონტროლი, მართლმსაჯულება

პრობლემის წამოჭრა

სასამართლოს დამოუკიდებლობა ეს არის ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, რომლებიც ერთობლივად ქმნიან სამართლებრივი სახელმწიფოს სუბიექტურ და ობიექტურ წინაპირობებს და ერთობლიობაში მის საფუძველს წარმოადგენს.¹

დამოუკიდებლობა ნიშნავს არა მხოლოდ პროფესიული, ღირებულებებითი შეხედულებების სისტემას სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას, არამედ აგრეთვე ხელისუფლების სხვა შტოებთან, განსაკუთრებით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით გარკვეულ სტატუსს, რომელიც ობიექტურ პირობებსა თუ გარანტიებზეა დამყარებული.

დამოუკიდებლობის ორივე სახე გავლენას ახდენს სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მოქალაქეებზე, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბრალდებული, ვინაიდან კერძო და საჯარო ინტერესები ისე არსად არ უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც სისხლის სამართალში. დამოუკიდებელი სასამართლო წარმოადგენს ნეიტრალური, სამართლიანი პროცესის წინაპირობას. მოსამართლის დამოუკიდებლობას აქვს სწორედ სისხლის სამართალში ძალიან დიდი მნიშვნელობა, რადგან სწორედ ეს წარმოადგენს ბრალდებულისათვის სასჯელის შეფარდების კანონიერ საუძველს. სისხლის სამართალი, როგორც წესი, ეხება სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იძულებასა და ადამიანის უფლებების დაცვას, ამიტომაც სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი, ლეგიტიმური შეფასება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც დამოუკიდებელია, ნეიტრალურია და არც ერთ ბანაკს არ მიეკუთვნება. სწორედ დამოუკიდებლობაა ის წინაპირობა, რომ მოსამართლე არის ის პირი, რომელმაც ეს შეფასება უნდა განახორციელოს.

1 Glatzmeier, Armin, *Gerichte als politische Akteure, Nomos*, 2017, S.164, Wiczorek/Schütze *Zivilprozessordnung und Nebengesetze*, 2017. S. 446.

კონფერენციის შრომები

სტატია მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს სასამართლოს დამოუკიდებლობის ორი სახე: სასამართლოს ინსტიტუციური და ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, მათი ურთიერთმიმართება, სასამართლოს როგორც ინსტიტუციური, ასევე ინდივიდუალური დამოუკიდებლობის დღეს არსებული პრობლემატური საკითხები და შესთავაზოს მათი გადაჭრის გზები.

სასამართლოს ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა

მოსამართლის დამოუკიდებლობა გულისხმობს მოსამართლეების დამოუკიდებლობას, როგორც ინდივიდუალური, ასევე ინსტიტუციური ასპექტით. მოსამართლის დამოუკიდებლობა უნდა განიხილებოდეს როგორც, ერთი მხრივ, თავად მოსამართლის საორიენტაციო სისტემა, მისი პროფესიული მრწამსის ერთგვარი სისტემა, მეორე მხრივ კი, როგორც იმ ინსტიტუციური და ოპერაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ამ დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფადაა მოწოდებული.²

ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა ნიშნავს სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლები-საგან გამოყოფას, როგორც იმ ინსტიტუციური და ოპერაციული ღონისძიებების კომპლექსიდან, რომლებიც ამ დამოუკიდებლობის, მათ შორის, ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფადაა მოწოდებული. იგი განსაზღვრავს სასამართლო ორგანოებსა და ხელისუფლების იმ შტოებს შორის ურთიერთობებს, რომელთა მიზანია, უზრუნველყონ როგორც სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა, ისე საზოგადოების მიერ მათი ასეთად აღქმა.³

ის ხორციელდება სასამართლოს თვითმმართველობითა და შეუთავსებლობით. თვითმმართველობა ხორციელდება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, რომლის მთავარი ფუნქციაც არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, სასამართლოებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცების, მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლება.

მოსამართლეთა კონფერენციის გავლენა სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია, რაც ერთ-ერთი ბერკეტია იმისა, რომ სასამართლო სისტემის ადმინისტრირების ძირითადი საკითხების გადაწყვეტა ხდება მოსამართლეთა კონფერენციის და მისი წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით, რითაც ხდება ხელისუფლების სხვა შტოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევის თავიდან აცილება. ასევე მნიშვნელოვანია შეუთავსებლობის პრინციპი, იგი (inkompetibilität) კონსტიტუციური პრინციპია, რომლის შესაბამისად მოსამართლეს უფლება არა აქვს განახორციელოს სხვა საქმიანობა.⁴

2 მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 66.

3 მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 67.

4 კონსტიტუციის 63 მუხლის მე 4 პუნქტი: „მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა

კონფერენციის შრომები

მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა

რას წარმოადგენს ინდივიდუალური დამოუკიდებლობა? მოსამართლეთა დამოუკიდებლობა თვითმიზანს არ წარმოადგენს ⁵. უშუალოდ მოქალაქის გარანტიაა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება იქნება ნეიტრალური, კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისი. ⁶

კონსტიტუციით, სასამართლო ხელისუფლება არ წარმოადგენს მხოლოდ მართლმასაჯულების განხორციელებას, არამედ იგი სასამართლო კონტროლითაც ხორციელდება. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები, რაც გულისხმობს, რომ ამ ხელისუფლების განხორციელება სრულიად მინდობილი აქვთ მოსამართლეებს, კონსტიტუციის მომდევნო მუხლები უკვე ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რითაც მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს თავისი საქმიანობის განხორციელებისას.

აქედან გამომდინარე, მოსამართლის დამოუკიდებლობა განიხილება, როგორც თავად მოსამართლის საორიენტაციო სისტემა, მისი პროფესიული მრწამსის ერთგვარი სისტემა ⁷.

სწორედ უშუალოდ მოსამართლეს ეხება ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, იგი შედგება საგნობრივი და პიროვნული (persönliche) დამოუკიდებლობისაგან და შესაბამისად საგნობრივი და პიროვნული ხასიათისაა: ⁸

- ა) საგნობრივი;
- ბ) პიროვნული;
- გ) შინაგანი დამოუკიდებლობა.

საგნობრივი დამოუკიდებლობა

დამოუკიდებლობის გარანტიით სარგებლობს ყველა პირი, ვინც კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს (მოსამართლეები, მსაჯულები). მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საფრთხის წყარო შეიძლება იყოს: სახელმწიფო ხელისუფლება, პარტია ან საზოგადოებრივი დაჯგუფებები.

თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“.

5 Bettermann, Vom Sinn und Grenzen der richterliche Unabhängigkeit, in Freiherr vom Stein-Gesellschaft e. V(Hrsg), Die Unabhängigkeit des Richters, Ein Cappenberges Gespräch, 1969, S. 45ff.

6 Stelkens/Panzer in: Schoch/Schneider/Bier(Hrsg), VwGO, Stand der Kommentierung: April 2013, § 1Rn. 34.

7 მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 71.

8 58 Assistentagung, Öffentliches Recht, Regensburg 2018, Nomos, Jann Ferlemann, Vorübergehend Unabhängig? Richter auf Zeit zwischen Unabhängigkeit und Flexibilität. S. 49ff.

კონფერენციის შრომები

აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სასამართლოს დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. დაუშვებელია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სასამართლოსათვის რაიმე დირექტივების მიცემა, რაიმე აქტის გამოცემა, რითაც მოხდება სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა. კონსტიტუციის 63-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. მოსამართლეები არ შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლების მითითებებზე იყვნენ დამოკიდებული. აღმასრულებელ ხელისუფლებას უფლება არა აქვს, რაიმე აქტი გამოსცეს ან ცალკეული მითითებები მისცეს, რომელიც სასამართლოს საქმიანობაზე ზეგავლენას მოახდენს. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, თანამდებობის პირს ეკრძალება სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა, მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებისას.⁹

საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა

სასამართლოს მორჩილება კანონისა და კონსტიტუციისადმი პირდაპირ მოცემულია კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველ პუნქტში, მაგრამ კანონისადმი მორჩილება არ ნიშნავს ნორმის ასოებისადმი მორჩილებას ან იძულებას დაემორჩილოს ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ, მოსამართლეს აქვს უფლება კანონის სისტემიდან, მისი არსისა და მიზნებიდან გამომდინარე ნორმის ინტერპრეტაცია მოახდინოს. კანონმდებელს უფლება არა აქვს სასამართლოში მიმდინარე კონკრეტულ საქმეთა განხილვისას ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში და რაიმე გავლენა მოახდინოს მასზე. ჩარევის საშუალებებში მოიაზრება როგორც პარლამენტის გადაწყვეტილებები, ისე ცალკეული კანონები.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა თვით სასამართლო ხელისუფლებისაგან

მოსამართლეთა საგნობრივი დამოუკიდებლობა ნიშნავს დამოუკიდებლობას არა მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან, ასევე სასამართლო ხელისუფლებისგანაც.

9 Assistentagung, Öffentliches Recht, Regensburg 2018, Nomos, Jann Ferlemann, Vorübergehend Unabhängig? Richter auf Zeit zwischen Unabhängigkeit und Flexibilität. S. 50ff.

კონფერენციის შრომები

მოსამართლე სხვა მოსამართლეებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს. საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ამოცანა მოსამართლისაგან, რომელიც თავის სინდისთან პირისპირ რჩება. გარკვეულ ავტონომიურობას მოითხოვს. ამდენად, მოსამართლის დამოუკიდებლობა მოითხოვს არა მარტო სასამართლო ხელისუფლების, როგორც ინსტიტუტის, დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოებისაგან, არამედ ის ასევე მოითხოვს მოსამართლეების დამოუკიდებლობას ერთმანეთისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსამართლის დამოუკიდებლობას განაპირობებს არა მარტო არამართლზომიერი გარეშე გავლენის არარსებობა, არამედ იმ არამართლზომიერი გავლენის არარსებობა, რომელიც სხვა მოსამართლეების მოქმედებიდან ან პოზიციიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. თუმცა მოსამართლეს ზოგჯერ სასარგებლოდ მიაჩნია, „იდები გამოსტყუოს“ კოლეგებს რაიმე ჰიპოთეზურ საქმესთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა გამოტანილი გადაწყვეტილებისთვის ყოველ მოსამართლეს პირადად ეკისრება, იმ მოსამართლეთა ჩათვლით, რომლებიც სააპელაციო სასამართლოების კოლეგიების შემადგენლობაში შედიან.¹⁰

მოსამართლის მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შეზღუდვის საპროცესო კოდექსით დადგენილი ცალკეული შემთხვევები

საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში მთელ რიგ საკითხებზე მოსამართლე მოკლებულია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. იგი ემორჩილება კანონით დადგენილ ამ შეზღუდვებს. მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, რადგან ეს საკითხი უკვე საპროცესო კოდექსითაა დარეგულირებული და გადაწყვეტილი. ეს არ არღვევს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს, რადგან მოსამართლის მიერ თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების შეზღუდვას თვით საპროცესო კოდექსი ადგენს. მაგალითად, სასამართლოს უფლება არა აქვს ბრალდების ფარგლებს გასცდეს დამძიმების კუთხით, ან მხარეთა მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათაგან რადიკალურად განსხვავებული ახალი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინოს, ასევე განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლოს არ შეუძლია შეცვალოს მის მიერ დადგენილი განაჩენი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მას უფლება არ აქვს ბრალდებულის დუმილი შეაფასოს მის საწინააღმდეგოდ ან მხოლოდ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება დაუდოს განაჩენს საფუძვლად.

10 Michael Reinhard, Konsistente Jurisdiktion, 1997, S. 198.

კონფერენციის შრომები

პარტიული დამოუკიდებლობა

მოსამართლის არაპარტიულობა კონსტიტუციური პრინციპია. იგი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის თანახმად მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მოსამართლემ გადანაცვტილება უნდა მიიღოს კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. კანონი მოითხოვს მოსამართლის სრულ პოლიტიკურ ნეიტრალიზაციას და უკრძალავს პარტიულ საქმიანობას.¹¹

სასამართლოს დამოუკიდებლობა საზოგადოებისაგან

სასამართლოს განაჩენები შეიძლება და უნდა გაკრიტიკდეს. პროცესის მიმდინარეობისას პრესის მიერ განხორციელებული კრიტიკა მიმდინარე პროცესზე დასაშვებია, მაგრამ ამავედროულად სასამართლოს დამოუკიდებლობა როგორც პრესის, ასევე კერძო პირთა, დაინტერესებული ორგანიზაციების, საზოგადოების ნაწილის ზემოქმედებისაგან კანონით უნდა იქნეს დაცული.

სისხლის მატერიალური კოდექსი უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების დაცვას დანაშაულებრივი ქმედებისაგან. მოსამართლის იძულება ვინმესათვის სასურველი გადანაცვტილების გამოსატანად დასჯადია სისხლის სამართლის წესით (სსკ-ის 365-ე მუხლი, მექარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან გამოძიებასთან დაკავშირებით), სასამართლოს უპატივცემულობაც შესაბამისად ისჯება.

მოსამართლეთა პიროვნული დამოუკიდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტი (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი) უზრუნველყოფს კანონის შესაბამისად დანიშნული მოსამართლის პიროვნულ დამოუკიდებლობას. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, ან მისი პენსიაში გაშვება დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

მოსამართლის პიროვნული დამოუკიდებლობა მოიცავს უპირველეს ყოვლისა შემდეგ ელემენტებს:

1. მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილების დაუშვებლობა;

11 Michael Reinhard, Konsistente Jurisdiktion, 1997, S. 198

კონფერენციის შრომები

- 2. თანამდებობიდან მისი ვადამდე განთავისუფლების, მისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დაუშვებლობა;
- 3. სხვა თანამდებობაზე გადაყვანის დაუშვებლობა;
- 4. მისი სამოსამართლო საქმიანობის ვადის ამოწურვამდე პენსიაზე გაშვება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ეს წარმოადგენს ინამუვიბილობის პრინციპს (Inamovibilität). ინამუვიბილობის პრინციპი წარმოადგენს მოსამართლეთა როგორც პიროვნული, ასევე საგნობრივი დამოუკიდებლობის გარანტიას. მოსამართლეები, რომლებიც კანონის შესაბამისად არიან თანამდებობაზე გამწესებულები, დაუშვებელია მოსამართლედ დანიშვნის ვადის გასვლამდე გაათავისუფლონ, სამოსამართლო საქმიანობას ჩამოაცილონ, ანდა სხვა თანამდებობაზე გადაიყვანონ, ან პენსიაზე გაუშვან. დაუშვებელია ისეთი ზომების გამოყენება მოსამართლეთა მიმართ, რომლითაც მოსამართლეები პრაქტიკულად ინარჩუნებენ თავიანთ თანამდებობას, მაგრამ ფაქტობრივად ვერ ახორციელებენ სამოსამართლო საქმიანობას, მაგალითად, როდესაც ირღვევა კანონი საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ. თუ საქმეთა განაწილების წესი დაირღვა და მოსამართლემ ვერ მიიღო ის საქმე განსახილველად, რომელიც კანონიდან გამომდინარე მას ექვემდებარებოდა განხილვისათვის, ირღვევა არა მხოლოდ კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი, არამედ ასევე მოსამართლის პიროვნული დამოუკიდებლობაც, რადგან ის პრაქტიკულად ჩამოშორებულია იმ საქმის განხილვას, რომელიც მას კანონის შესაბამისად ევალებოდა.

მოსამართლის განმწესება სხვა სასამართლოში დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით (საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი). კანონი ითვალისწინებს მოსამართლეთა განთავისუფლებას სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში. მართალია სასამართლოს ლიკვიდაციის საფუძვლით მოსამართლეთა განთავისუფლება იწერება მოსამართლეთა პიროვნულ დამოუკიდებლობაში და ზღუდავს მას, მაგრამ ეს არ არღვევს მოსამართლეთა პიროვნულ დამოუკიდებლობას, ვინაიდან კანონის შესაბამისად სასამართლოს ლიკვიდაცია ხორციელდება სასამართლო ხელისუფლების მიერ და არა აღმასრულებელი, ეს კი არ იწვევს მოსამართლეთა პიროვნული დამოუკიდებლობის დარღვევას.

მოსამართლის ნების საწინააღმდეგოდ თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები მოცემულია ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 44-ე, 45-ე მუხლები), ასევე კანონში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ.

სავალდებულოა მოსამართლეებს გარანტირებული ჰქონდეთ პიროვნული დამოუკიდებლობა. მოსამართლეები შესაძლებელია განთავისუფლდნენ თანამდებობიდან ან მათ შეუჩერდეთ სამოსამართლო საქმიანობა

კონფერენციის შრომები

მხოლოდ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონისმიერი საფუძვლით და კანონით გათვალისწინებული პროცედურით.

მოსამართლეთა შინაგანი დამოუკიდებლობა

ნებისმიერმა მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შინაგანი დამოუკიდებლობისა და პირადი პასუხისმგებლობის საფუძველზე. მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობა მოითხოვს მოსამართლის შინაგან თავისუფლებას. მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად და იგი არ არის პასუხისმგებელი ვინმე მესამე პირის მიმართ. შინაგანი დამოუკიდებლობა არ არის გარანტირებული კანონით ან კონსტიტუციით, არამედ ეს არის პიროვნულად პირადად მის წინაშე მდგომი ამოცანა, რომ იყოს თავისუფალი ზემოქმედებისაგან. შინაგანი დამოუკიდებლობისათვის მოსამართლე არ იბრძვის, არამედ ის მას უნდა ფლობდეს. მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკუთარი პასუხისმგებლობით, როგორც შინაგანი ასევე გარე ზემოქმედებების გარეშე.

ასეთი ზემოქმედებები შესაძლებელია პოლიტიკური პარტიებისაგან წარმოიშვას, განსაკუთრებით მმართველი პარტიებისაგან, რომელიც სამართლებრივად გარკვეულწილად მოსამართლეთა დანიშვნაშიც იღებს მონაწილეობას (მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წესი). ასევე მედიის განცხადებებს, კომენტარებს, სატელევიზიო გადაცემებს, ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლიათ გარკვეული ზეწოლა მოახდინონ. ეს ზეწოლა შეიძლება გაძლიერდეს, თუ პოლიტიკოსები მედიის მიერ გავრცელებულ აზრს მხარს უჭერენ. ასეთი ზემოქმედების წინააღმდეგ არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ არსებობს, მით უფრო, რომ მედიის ფუნქციაა სასამართლო გადაწყვეტილებები აკრიტიკოს. მოსამართლეთა შინაგანი დამოუკიდებლობა ნიშნავს დამოუკიდებლობას მესამე პირთა მიმართ. მოსამართლემ თავისუფლად, სხვათა ზემოქმედების გარეშე კანონის შესაბამისად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები

მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა მისი უვადო განწესება, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით მკაცრად არის დარეგულირებული საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესი, რაც გარეშე პირთა ჩარევისაგან მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვას უზრუნველყოფს.

კონფერენციის შრომები

მოსამართლის შეუცვლელია გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ დღემდე, საერთო სასამართლოების სისტემა პოლიტიკურ მართვასა და კონ ტროლს დაექვემდებარა. სასამართლოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია იყო მთავარი ინსტრუმენტი, რომელმაც მაშინდელ ხელისუფლებას არასასურველი მოსამართლეების სისტემიდან გაშვებასა სასამართლო კორპუსის სუბიექტური პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ჩამოყალიბების შესაძლებლობა მისცა (დღეისათვის სწორედ სუბიექტურ პოლიტიკური ინტერესების მქონე სასამართლო აგრძელებს ფუნქციონირებას, სამწუხაროდ).

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის მოსამართლეთა იმუნიტეტი. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაიხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაზე მზღდელი მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დასკვნა

კანონის უზენაესობის დამკვიდრების გასაღებს წარმოადგენს არა მხოლოდ ის, რომ უზრუნველყოფილია სასამართლოს დამოუკიდებლობა, არამედ ის, რომ სასამართლო ასევე უნდა წარმოინდეს დამოუკიდებლად, რათა მოიპოვოს საზოგადოების ნდობა. სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფის ყველაზე დიდი საფრთხე მომდინარეობს მოქმედი ხელისუფლებისა და უმრავლესობის მქონე პარტიისაგან.

ხელისუფლების სამ შტოს შორის ურთიერთობა უნდა აიგოს ურთიერთპატივისცემასა და ყოველი მათგანისაგან ორი დანარჩენის შესაბამისი როლის აღიარებაზე. ეს აუცილებელია, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლების ორი დანარჩენი შტოს მიმართ. სასამართლო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მთავრობამ და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პასუხი აგონ საკუთარ ქმედებებზე; რაც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, სასამართლო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მიღებული და ძალაში

კონფერენციის შრომები

შესული კანონების სათანადო გამოყენება, აგრეთვე მათი შესაბამისობა ეროვნულ კონსტიტუციასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, რეგიონალურ და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილია. მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისა და დამოუკიდებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილებების თავისუფალი, შეუზღუდავი განხორციელებისათვის სასამართლო ორგანოებმა უნდა გამორიცხონ ხელისუფლების დანარჩენ შტოებთან არამართლზომიერი ურთიერთობა, ასევე მათი გავლენა. ამგვარად, დამოუკიდებლობა მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის გარანტიაა.¹²

დამოუკიდებლობის ამ ორი ასპექტის ერთმანეთთან მიმართება შეიძლება, შემდეგნაირად განიმარტოს: მოსამართლე შეიძლება დამოუკიდებელი იყოს თავის შეხედულებებსა და მსჯელობაში, მაგრამ, თუ სასამართლო, რომელშიც ის საქმეებს განიხილავს, არ არის ხელისუფლების სხვა შტოებისაგან დამოუკიდებელი იმ საკითხებში, რომლებიც მისი სათანადო ფუნქციონირებისთვისაა მნიშვნელოვანი, მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ ჩაითვლება.

12 CCJE(2015)4 ლონდონი, 2015 წლის 16 ოქტომბერი ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (ემსს) დასკვნა N 18 (2015).

PROBLEMATIC ISSUES OF THE USE OF THE RETROACTIVE FORCE BY COURT

Phridon Diasamidze

Ph.D. Student at the East European University

KEYWORDS: Constitution, Crime, Punishment

In most of the legal systems in the world, especially in Europe, speaking about the principles of criminal law begins with the famous Latin expression: *Nullum crimen sine lege*. This Principle is often referred to as the principle of legality. This principle requires that a person is held criminally liable under the governing law at the time of commission of the offence. One of the main requirements of this principle is the prohibition of retroactive force in criminal law. Retroactive force is a feature of legal norms to apply to a case that had occurred before its enactment. The principle of prohibition of retroactive force is a principle of constitutional level, which is not only a national but also has international recognition. Article 31, Paragraph 9 of the Constitution of Georgia stipulates that the law has no retroactive force if it does not mitigate or abolish liability. At the first glance, Article 3 of the Criminal Code of Georgia states in accordance with this: a criminal law norm that decriminalizes an act or reduces penalty, has retroactive force. A criminal law norm that criminalizes an act or increases punishment, has no retroactive force. This is especially crucial for any modern, democratic state, as it is directly related to legal security. It is still debated in the literature as to which norms are the addressees of this restriction. It is logical that we should assume all the norms that in some way establish criminal, legal liability. In no way should we consider this restriction as a mere restriction of criminal norms, because legal liability is not only of criminal nature, for example, there also is administrative liability. It is also noteworthy that at the first glance it seems that the record of Article 31 of the Constitution and the Criminal Code correspond with each other, while in fact there is a substantive difference between them, in particular, Article 31 requires retroactive force to be applied only in case when the law mitigates or abolishes liability while The Code of Criminal Law clearly narrows it down to the prohibition regarding the use of retroactive force and provides only two types of guarantees:

- 1 Turava M. Criminal Law, General Part, Doctrine of Crime, Meridiani, 2011, p.p. 10-13.
- 2 Constitution of Georgia, Article 31, Legislative Herald of Georgia.

კონფერენციის შრომები

- The norm doesn't have retroactive force if the norm criminalizes an act;
- The norm doesn't have retroactive force if the norm increases the penalty - meaning the size or the type of the sentence

In all other cases the retroactive force is not restricted. Therefore, the question arises, should retroactive force be used in the context of mitigating the liability of a person, in relation to mitigating a liability, the statute of limitations, the conditional sentence term or even in case of a suspended sentence? Because, as stated above, the issue is partly related to the compatibility of Article 31 of the Constitution of Georgia and Article 3 of the Criminal Code, we should consider the approach of judiciary, in particular the approach of the Constitutional Court of Georgia in this regard.

Concerning this issue, there are indeed cases related to the above-mentioned legal dilemma in the practice of the Constitutional Court of Georgia. The Public Defender and the perpetrators of crime against whom the aggravating criminal law was applied, the compliance of Article 3 of the Criminal Code with the Constitution of Georgia case, Article 3 of the Criminal Code allows the possibility of retroactive force application of criminal norms only if the norm decriminalizes an act or reduces penalty. Therefore, this norm unequivocally prohibits the use of retroactive force of the law if it criminalizes an act or increases punishment for it. In the Constitutional Court, the plaintiffs considered that in this case, the prohibition on retroactive force should not be reduced only to the norms related to criminalizing an act or increasing the punishment. Such an interpretation prevents other laws related to criminal liability (e.g., suspended sentence, lifting a conditional sentence, statute of limitations) that actually improves person's condition to be used retroactively. Regarding this case, the Constitutional Court has clarified that Article 42, paragraph 5 of the Constitution, in general, reinforces the fundamental principle of legality (*nullum crimen sine lege*). In particular, the first sentence of Article 42, paragraph 5 prohibits liability for an act if it was not considered an offense at the time of its commission. The second sentence of the same paragraph, on the one hand, prohibits the retroactive force of the law, and on the other hand, establishes an exception - if the law cancels or mitigates the liability, it can have retroactive force. The Court has emphasized the fact that these sentences of Article 42, paragraph 5 constitutes an organic unity and ensures that an offense and liability for it, as a combination of coercive measures performed by the State, will be as defined by the governing legislation at the time of the offense. The majority of the judicial panel did not agree with the argument that the impugned norm restricted the constitutional guarantee and prohibited retroactive force in only two cases - when "criminalizing an act" or "increasing the punishment". The Court has concluded that the terms "criminality" and "punishment" should be fully consistent with the term "liability" in Article 42, paragraph 5 of the Constitution, as "there is no criminal liability without a criminal action and punishment" and all criminal law measures, no matter what name they are mentioned by, are related to them. The Court has additionally noted that criminalizing an act and increasing the punishment should not be

3 Criminal Code of Georgia, Article 3, Legislative Herald of Georgia.

4 Note Article 42 of the Constitution of Georgia provided for a reservation at the time of the hearing of the case in the Constitutional Court.

კონფერენციის შრომები

ინდიან ბიასამიძე

interpreted narrowly, as proclaiming certain act an offense or increasing the punishment established for it, in general, but should also encompass cases where due to certain circumstances an act is criminalized or a punishment is increased the regarding a certain person. In view of the above, the court held that if the statute of limitations for criminal prosecution has expired, it means that the person has been released from criminal liability and that the act specifically committed by them is no longer an offense. Extending the statute of limitations after a person has the expectation that they will no longer be prosecuted is an "imposition of a crime". In this case, the impugned norm prohibited the retroactive force application of the new law. In contrast, if the statute of limitations for prosecution of a particular act has not expired, its extension under the new law does not constitute a violation of the constitutional requirement of prohibiting retroactive force, as in this case a person could not have had a legitimate expectation that the State would not have been able to prosecute the crime committed by them within the prescribed period and they would've been released from liability. In addition, the Court has held that the words of the impugned norm "increases punishment" should not be construed so as to include only an increase in the size of the sanction. Abolishing the possibility of using probation after committing a crime under the new law should be considered to be an indirect increase of punishment for a criminal act, and applying such a law retroactively would be unconstitutional. Although there has been a practice of interpreting and applying the impugned norm otherwise, the Court has held that the content of the norm itself was crucial. According to the established approach, if a norm only allows an interpretation that is unconstitutional, it should in itself be considered unconstitutional. While if a norm can be interpreted in two ways, and allows for a definition corresponding to the Constitution, then it should be interpreted in accordance with the Constitution and should be considered constitutional. Given that the impugned norm could have been interpreted in such a way as to include the statutes of limitations and norms probation and could've prevented the retroactive force application of aggravating legislation adopted after the offense had been committed, the Court held that the norm was constitutional according to Article 42 of the Constitution. The opinions of the judges regarding this decision were significantly divided

The Constitutional Court of Georgia has quite fruitful practice regarding the issue of retroactive force. Some interesting decisions have been made regarding this topic. We fully understand and agree with the views expressed in these decisions, however we believe that the compatibility of Article 31 of the Constitution with Article 3 of the Criminal Code of Georgia still requires further study. The Constitutional Court and the doctrine of Georgia have a leading role in this process. Given the importance of the issue, it would be recommended to clarify the wording in the Criminal Code so that this issue no longer raises misunderstandings in future.

5 Constitutional Court of Georgia, I Panel, Case N 1/1 / 428,447,459, May 13, 2009 p. 5-8, Official Website of the Constitutional Court of Georgia: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>

კონფერენციის შრომები

NOTES:

1. Turava M. Criminal Law, General Part, Doctrine of Crime, Meridiani, 2011 (In Georgian);
2. Constitution of Georgia, Article 31, Legislative Herald of Georgia (In Georgian);
3. Criminal Code of Georgia, Article 3, Legislative Herald of Georgia (In Georgian);
4. Constitutional Court of Georgia, I Panel, Case N 1/1 / 428,447,459, May 13, 2009 p. p. 5-8 (In Georgian).

BIBLIOGRAPHY:

1. Turava M. Criminal Law, General Part, Doctrine of Crime (In Georgian);
2. Constitution of Georgia (In Georgian);
3. Criminal code of Georgia (In Georgian);
4. Constitutional Court of Georgia, I Panel, Case N 1/1 / 428,447,459, May 13, 2009 (In Georgian).

კონფერენციის შრომები

სასამართლოს მიერ უკუძალის გამოყენების პრობლემატური საკითხები

ფრიდონ დიასამიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, დანაშაული, სასჯელი

მსოფლიოში არსებულ სამართლებრივ სისტემათა დიდ ნაწილში, განსაკუთრებით ევროპაში, სისხლის სამართლის პრინციპებზე საუბარი იწყება ცნობილი ლათინური გამოთქმით: Nullum crimen sine lege. ხშირად ამ პრინციპს მოიხსენიებენ კანონიერების პრინციპის სახელით. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ კანონით, რომელიც მოქმედება მისი ჩადენის დროს. აღნიშნული პრინციპის ერთ ერთი მთავარი მოთხოვნაა, უკუძალის აკრძალვა სისხლის სამართალში ¹. უკუძალა ეს გახლავთ სამართლის ნორმათა თვისება გავრცელდეს მის ამოქმედებამდე მომხდარ შემთხვევაზე. უკუძალის აკრძალვის პრინციპი გახლავთ კონსტიტუციური რანგის პრინციპი, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ აღიარებული საერთაშორისო ფასეულობაა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის „9“ პუნქტი ადგენს რომ კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. ² ერთი შეხედვით ამის ადექატურად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლი ადგენს: სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ანებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს. ეს დანაწესი განსაკუთრებით საკვანძო მნიშვნელობისაა ნებისმიერი თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, იმდენად რამდენადაც ის პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ უსაფრთხოებასთან. ლიტერატურაში დღემდე დავაა იმის გარშემო თუ რომელი ნორმებია ამ შეზღუდვის ადრესატი. ლოგიკურია რომ აქ საუბარი უნდა იყოს ყველა იმ ნორმაზე, რომელიც რაიმე ფორმით ადგენს სამართლებრივ, იურიდიულ პასუხისმგებლობას. არამც და არამც არ უნდა ჩავთვალოთ ეს შეზღუდვა

1 ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება.
 2 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

კონფერენციის შრომები

მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმების შეზღუდვად, რადგან იურიდიული პასუხისმგებლობა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ხასიათის არ არის, მაგალითად არსებობს ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საყურადღებოა ისიც, რომ ერთი შეხედვით თითქოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის ჩანაწერი და სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაშია ერთმანეთთან რეალურად მათ შორის არსებობს შინაარსობრივი სხვაობა: კერძოდ, 31-ე მუხლი მოითხოვს რომ უკუძალა გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც კანონი ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი ამკარად ავიწროვებს ამ დათქმას უკუძალის გამოყენების აკრძალვასთან მიმართებაში იძლევა მხოლოდ ორი ტიპის გარანტიას:

- უკუძალა ნორმას არ აქვს თუ ნორმა აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას;
- უკუძალა ნორმას არ აქვს თუ ნორმა ამკაცრებს სასჯელს – საუბარია სასჯელის ზომაზე ან სახეზე.³

სხვა ყველა შემთხვევაში უკუძალა შეზღუდული არ არის. მაშასადამე, ჩნდება კითხვა, უნდა იქნას თუ არა გამოყენებული უკუძალა, პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქების ჭრილში, ხანდაზმულობის ვადების, ნასამართლობის ვადების მიმართ ან სულაც პირობითი მსჯავრის შემთხვევაში? ვინაიდან როგორც ზემოთ ავლნიშნეთ საკითხი ნაწილობრივ ეხება საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლის შესაბამისობას უნდა განვიხილოთ მართლმსაჯულების მიდგომა, კერძოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ნამდვილად მოიძებნება საქმეები რომელიც უკავშირდებოდა ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ დილემას. სახალხო დამცველმა და დანაშაულის ჩამდენმა პირებმა რომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა, მათი მდგომარეობის გამაუარესებელი სისხლის სამართლის კანონი, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან⁴. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი სისხლის სამართლის ნორმების უკუძალით გამოყენების შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ მაშინ თუ ნორმა აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს. მაშასადამე აღნიშნული ნორმა ერთმნიშვნელოვნად კრძალავს კანონის უკუძალის გამოყენებას თუ ის აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს. საკონსტიტუციო სასამართლოში, მოსარჩევეები თვლიდნენ რომ ამ შემთხვევაში, უკუძალის აკრძალვა არ უნდა იქნას დაყვანილი მხოლოდ იმ ნორმებით რომელიც უკავშირდება დანაშაულებრიობის დანესე-

3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-3 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

4 შენიშვნა საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის მომენტში, უკუძალასთან დაკავშირებულ დათქმას ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

კონფერენციის შრომები

ბას ან სასჯელის გამკაცრებას. ასეთი ინტერპეტაცია სპობს საშუალებას რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვა კანონები (მაგ, პირობითი მსჯავრის, ნასამართლობის გაქარწყლების ვადების, ხანდაზმულობის ვადების მომწესრიგებელი ნორმები) რომლებიც რეალურად აუმჯობესებენ პირის მდგომარეობას გამოყენებულ იქნას უკუძალით. აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ დააზუსტა რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი საერთო ჯამში, განამტკიცებს კანონიერების (*nullum crimen sine lege*) ფუნდამენტურ პრინციპს. კერძოდ, 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება კრძალავს პასუხისმგებლობას ქმედებისთვის, თუ ის მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. ამავე პუნქტის მეორე წინადადება, ერთი მხრივ, კრძალავს კანონის უკუძალას, მეორე მხრივ კი ადგენს გამონაკლისს – თუ კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას მას შეიძლება ჰქონდეს უკუძალა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის აღნიშნული წინადადებები ორგანულ ერთიანობას ქმნიან და უზრუნველყოფენ, რომ სამართალდარღვევა და მის გამო პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული იძულებითი ღონისძიებების ერთობლიობა, იქნება იმგვარი, როგორც ამას განსაზღვრავდა სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა. სასამართლო კოლეგიის უმრავლესობამ არ გაიზიარა არგუმენტი, რომ სადავო ნორმა ავიწროებდა კონსტიტუციურ გარანტიას და უკუძალას კრძალავდა მხოლოდ ორ შემთხვევაში – “დანაშაულებრიობის” დაწესებისას და “სასჯელის” გამკაცრებისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერმინები “დანაშაულებრიობა” და “სასჯელი” სრულად შესაბამისობაში იყოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ტერმინ “პასუხისმგებლობასთან”, რადგან “სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს ქმედების დანაშაულებრიობისა და დასჯადობის გარეშე” და ყველა სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, რა სახელითაც არ უნდა იყოს მოხსენიებული, მათთან არის დაკავშირებული. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დანაშაულებრიობის დაწესება და სასჯელის გამკაცრება არ უნდა განიმარტოს ვინ როდ, როგორც ამა თუ იმ ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება ან მისთვის დადგენილი სასჯელის გამკაცრება საზოგადოდ, არამედ ასევე უნდა მოიცვას ისეთი შემთხვევები, როდესაც გარკვეული გარემოებების გამო კონკრეტული პირის მიმართ წესდება ქმედების დანაშაულებრიობა ან მძიმდება სასჯელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა, ეს ნიშნავს რომ პირი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და კონკრეტულად მის მიერ ჩადენილი ქმედება აღარ არის დანაშაულებრივი. ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება მას შემდეგ, რაც პირს უჩნდება მოლოდინი, რომ მის მიმართ აღარ განხორციელდება დევნა, წარმოადგენს “დანაშაულებრიობის დაწესებას”. ამ შემთხვევაში სადავო ნორმა კრძალავდა უკუძალით ახალი კანონის გამოყენებას. ამისგან განსხვავებით, თუ კონკრეტული ქმედების

კონფერენციის შრომები

მიმართ დევნის ხანდაზმულობის ვადა არ ამოწურულა, მისი გაგრძელება ახალი კანონის საფუძველზე არ წარმოადგენს უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციური მოთხოვნის დარღვევას, რადგან ამ შემთხვევაში პირს არ შეიძლება ჰქონოდა კანონიერი მოლოდინი, რომ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ვერ მოახერხებდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ დევნის განხორციელებას და გათავისუფლებოდა პასუხისმგებლობისგან. დამატებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის სიტყვები “ამძიმებს სასჯელს” არ უნდა განიმარტოს, ისე რომ მოიცვას მხოლოდ სანქციის ზომის გაზრდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობის გაუქმება ახალი კანონის საფუძველზე, დანაშაულებრივი ქმედებისთვის სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად უნდა ჩაითვალოს და უკუძალით ამგვარი კანონის გამოყენება არაკონსტიტუციური იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სადავო ნორმის სხვაგვარად განმარტების და გამოყენების პრაქტიკა, სასამართლომ მიიჩნია, რომ გადამწყვეტი იყო თავად ნორმის შინაარსი. ჩამოყალიბებული მიდგომის მიხედვით, თუ ნორმა მხოლოდ კონსტიტუციის სანი-ნააღმდეგო განმარტების საშუალებას იძლევა, იგი უნდა ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად. ხოლო თუ ნორმა ორგვარად შეიძლება განიმარტოს, და კონსტიტუციის შესატყვისი განმარტების შესაძლებლობასაც იძლევა, მაშინ კონსტიტუციის შესატყვისად უნდა იქნეს განმარტებული და კონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმა, შეიძლება იმგვარად განმარტებულიყო, რომ მოეცვა ხანდაზმულობის და პირობითი მსჯავრის დამდგენი ნორმები და აღეკვეთა სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მიღებული, დამამძიმებელი კანონმდებლობის უკუძალით გამოყენება, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმა კონსტიტუციური იყო კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში მოსამართლეთა აზრი მნიშვნელოვნად გაიყო.⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკუძალის საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ნაყოფიერი პრაქტიკა აქვს. ამ თემაზე მიღებულია საინტერესო გადაწყვეტილებები. ჩვენ სრულად გვესმის და ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილებებში გატარებულ მოსაზრებებს, თუმცა ამიგვაჩნია რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის ერთმანეთთან შესაბამისობა, მაინც დამატებით კვლევას საჭიროებს. ამ პროცესში კი წამყვანი როლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და დოქტრინას აქვს. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველი იქნება სისხლის სამართლის კოდექსში, ფორმულირების დაბუსტება, რათა ამ საკითხმა სამომავლოდ აღარ წარმოშვას გაუგებრობა.

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, I კოლეგია, საქმე N 1/1/428,447,459, 13 მაისი, 2009 წელი გვ. 5-8, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებ გვერდი: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=326>

კონფერენციის შრომები

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, მერიდიანი 2011 წელი;
2. საქართველოს კონსტიტუცია;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N 1/1 / 428,447,459, 2009 წლის 13 მაისი.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 952 024

The online version of the journal is available on the website:
www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge
76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141
Phone: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 952 024